573/4-1/21 2 26012021

573/4-1/21
26-01-2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სამთავრობო პოლიტიკა, სტრატეგიები და ადგილობრივი პოლიტიკა ქალებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. თემატური მოკვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება მოკვლევის მრავალმხრივი ჩართულობით წარმართულ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც წერილობითი მოსაზრებები, ისე - საქართველოს პარლამენტში გამართული ორი ზეპირი მოსმენის შედეგები და პროფესიულ განათლებაზე უკვე არსებული კვლევები.

ანგარიშში მოცემულია ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისა და კაცების თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული არ არის (ქალები - 43%), გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთი მხრივ, პროფესიული განათლების სფეროში კაცებისთვის მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობა მათ არ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და ამის გამო წვევამდელი ასაკის კაცები უარს ამბობენ პროფესიულ განათლებაზე (ან ფორმალურად არიან ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებლებში და პარალელურად ეუფლებიან პროფესიულ განათლებას), მეორე მხრივ, არსებული ბარიერების გამო ქალები არ ერთვებიან პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სისტემაში. აუცილებელია განვასხვავოთ 15-24 წლის გოგონებისა და ზრდასრული ქალების ჯგუფების განსხვავებული მდგომარეობა. ზრდასრული ქალებისთვის ბევრად ხელსაყრელია მომზადებისა და გადამზადების კურსები, მათი ხანგრძლივობიდან და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიის სწრაფად დაუფლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური

ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.
3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.
5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.
2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.
4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.
5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი:

(1) „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 37 (ოცდაჩვიდმეტი) გვერდი.

(2) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302103980**
თარიღი: **08/02/2021**
პინი: **4043**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 26 იანვარს N 573/4-1/21 წერილის თანახმად, რომლის ერთ-ერთი საკითხი ეხება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებულ მოკვლევას „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“. მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა რეკომენდაციები. ადგილობრივ დონეზე - პრიორიტეტული გახდა და აქტიურად ხორციელდება ყველა ის ქმედითი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებას.

ესენია:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში იწყება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კოლეჯის მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2021 წლის ბოლოს.

150 სტუდენტზე გათვლილი კოლეჯი მულტიპროფილური იქნება, სადაც პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პროფესიების დაუფლებას. კოლეჯის ბაზაზე იგეგმება დუალური, მოკლევადიანი და ინტეგრირებული პროგრამების განხორციელება ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი დარგების მიმართულებით.

- 2013 წელს ლესის, ჯურუყვეთისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა.
- 2014 წელს ლესის, ქვიანისა და მამათის ადმინისტრაციულ ერთეულებში ასევე განხორციელდა საბავშვო ბაღის ღობის მოწყობა, ფასადის, ოთახებისა და შენობის რეაბილიტაცია.
- 2014 წელს ჯურუყვეთის ად.ერთეულში განხორციელდა საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- 2016 წელს ნიგოითის ად.ერთეულში ასევე საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- 2017 წელს შუხუთის ად. ერთეულში განხორციელდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
- 2018 წელს ჩიბათის ად. ერთეულში, მოხდა საბავშვო ბაღის სახურავის აღდგენა და ფასადის ნაწილობრივ შეფუთვა. აცანის ად. ერთეულში, ასევე

საბავშვო- ბაღის შენობის რეაბილიტაცია.

- 2013 წელს ჩოჩხათის ად. ერთეულში მოეწყო სკოლის ეზოს ღობის გავლება და სველი წერტილების რეაბილიტაცია, ხოლო ღრმაღელის ად. ერთეულში სკოლის ელექტრო გაყვანილობის მოწყობა.
- 2019 წელს განხორციელდა #1 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა და სველი წერტილის რეაბილიტაცია. ტაბანათის, ხიდმაღალას, ნინოშვილის, ჯურუყვეთის, ჩიბათის და ნიგოითისა და სუფსის ად. ერთეულებში სკოლების სველი წერტილების მოწყობა
- 2020 წელს ქალაქის მეორე საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და სველი წერტილების მოწყობა.
- სუფსისა და შუხუთის ად. ერთეულების საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია.
- ღრმაღელის და ჩიბათის ად. ერთეულების საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწესრიგება.
- ახალსოფლის და ჯიხანჯირის საჯარო სკოლებში ჭაბურღილის მოწყობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელებული თემატური მოკვლევას „ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებულ ანგარიშს რომელშიც მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ, გაცნობებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის თვალსაზრისით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:

- „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ პროგამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი ოპერაციების , ქიმიოთერაპიის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება, მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების და კომპიუტერული ტომოგრაფიების თანადაფინანსება პაციენტის მიერ ხელზე გადასახდელი თანხის50% ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 1000 ლარისა. შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, საწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების და კომპიუტერული ტომოგრაფიების უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები (კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. ზემოაღვიშნული პროგრამით სარგებლობა შეუძლია ყველა ბენეფიციარს მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს, რომელიც აკამყოფილებს პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო მოთხოვნებს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 92 000 ლარს.
- „ლანჩხუთის რეგიონური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის“. პროგრამა გათვალისწინებულია ნაადრევ ეტაპზე

კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: შეხვედრები გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრებთან, თემატური საქმიანობა, ფსიქოლოგიური ტრეინინგი არტთერაპიის კომპონენტებით (3 ჯგუფი); სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის; სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრეინინგი(2 ჯგუფი); პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე (თბილისი და ზუგდიდი); საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება; პრესოთერაპიის პროცედურების ჩატარება; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი. პროგრამა გათვლილია 36 კლუბის წევრზე. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 42 200 ლარს.

- „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა“. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შეძენაზე დახმარება კერძოდ: ონკოდაავადებულთა და ლეიკემიით დაავადებულთა მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს (300 ლარისა), მძიმე კარდიოლოგიური (მიოკარდიუმის ინფარქტი), ნევროლოგიური(იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი) და რევმატოლოგიური (რევმატოლოგიური ართრიტი; წითელი მგლურა) დაავადების მქონე ბენეფიციარების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა. პროგრამით სარგებლობენ ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. პროგრამის ბიუჯეტია 15 000 ლარი.

„შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა 10 დღიანი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურეკში. დაფინანსება ბენეფიციარზე დღეში 35 ლარის ოდენობით და თანმხლებ პირზე ასევე დღეში 35 ლარის ოდენობით. პროგრამის ბიუჯეტია 14 000 ლარი პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე.

- „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ რეაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებულია ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/რეაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითერების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება 1 ვიზიტი 5 ლარის ოდენობით. ხოლო სევისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი 5 ლარის ოდენობით. ბავშვთა რეაბილიტაცია/რეაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწობის მიზნით მომსახურეობის მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება(დღეში 22 ლარი). პროგრამა გათვლილია 30 ბენეფიციარზე. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 25 000 ლარს.

„0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს, რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“. ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით. პროგრამა გათვლილია 6 ბავშვზე. პროგრამის ბიუჯეტია 2000 ლარი.

- „ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა“ ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქოფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდაერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 250 (ორასორმოცდაათი) ლარისა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 1 ბენეფიციარზე. პროგრამის ბიჯეტი შეადგენს 3000 ლარს.
- „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდვიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდვიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდვიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 14 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში,სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ)ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ)6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/ გადაფასება. 1სეანსი ღირებულება 20 ლარი. პროგრამის ხარჯი 1 თვე 400 ლარი. პროგრამა გათვლილია 10 ბავშვზე. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 44 000 ლარს. ზემოაღვიშნული პროგრამებით სარგებლობა შეუძლია ყველა ბენეფიციარს მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს რომელიც აკამყოფილებს პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო მოთხოვნებს.

- 2016 წელს ქ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ 200 კვ.მ ტერიტორიაზე, სპორტული ცენტრის გვერდით, მოეწყო ღია ტიპის სავარჯიშო სივრცე, რომელიც მორგებულია უნივერსალური დიზაინის პრინციპს და არის ადაფტირებული შშმ პირებისათვისაც. აღნიშნული პროექტი დააფინანსა და

საჩუქრად გადმოეცა მუნიციპალიტეტს, საქართველოს სპორტის სამინისტროს მიერ.

- 2020 წელს რებილიტაცია ჩაუტარდა ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიმდებარედ, არსებულ მინი ფეხბურთის სპორტულ მოედანს და ასევე დამატებით მოეწყო კალათბურთის მოედანი.

ზემოაღნიშნული სპორტული სივრცეები ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებლისთვის და წლის ნებისმიერ დროს აქტიურად არის დატვირთული ფუნქციურად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი